

T. mWedliSvili

საჩარხო ელექტრომექანიკური ამპრაფების მათემატიკური

მოდელეები და დინამიკური კვლევა

saleqcio konspeqti

თბილისი 2011

შინაარსი

შესავალი	2
1. ამპრაფთა ელექტრომექანიკური სისტემების მიმოხილვა	3
2. მექანიზმების და მანქანების პროექტირებისა და დინამიკური კვლევის საკითხები.....	8
3. მექანიკური ნაწილის დინამიკური ანალიზი.....	26
4. ელექტრომექანიკური ამპრაფის მათემატიკური მოდელი	35
5. ელექტრომექანიკური სისტემის ამპლიტუდურ–სიხშირული გამოკვლევების შესახებ	41
6. ელექტრომექანიკური ამპრაფი მოდალური მართვით	51
დასკვნა.....	59
გამოყენებული ლიტერატურა	61

1. ამპრაფთა ელექტრომექანიკური სისტემების მიმოხილვა

ტექნოლოგიური მანქანების და აგრეგატების მწარმოებლობის გაზრდა უმეტესწილად ხორციელდება მუშა სიჩქარეების გაზრდის გზით, რაც თავის მხრივ, დღის წესრიგში აყენებს უფრო მაღალი სწრაფქმედების მქონე ამპრაფთა სისტემების შექმნის აუცილებლობას. [1-10].

თანამედროვე ავტომატიზებული ელექტროამპრაფების თეორიასა და პრაქტიკაში უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება დაქვემდებარებული რეგულირების კონტურებიანი გირისტორული ელექტროამპრაფების შექმნას და ფართო დანერგვას სხვადასხვა სამრეწველო დანადგარებზე, როდესაც კი საჭიროა სიჩქარეთა ფართო დიაპაზონში რეგულირება. მათ რიცხვს სხვა მანქანებთან ერთად ეკუთვნის აგრეთვე ქაღალდის მრეწველობაში მოქმედი ტექნოლოგიური აგრეგატები (ქაღალდის დამამზადებელი მანქანები, კალანდრები, სუპერკალანდრები, ქაღალდის გრძივად დამჭრელი დამგები და სხვ.) ასეთი ამპრაფების დინამიკური რეჟიმები უფრო მეტად არის შესწავლილი „ხისტი“ მექანიკური ლილვების შემთხვევებისათვის [3,5-10].

ქაღალდის დამამზადებელი მანქანების (აგრეთვე სხვა მრავალი ანალოგიური მანქანების, მაგ. უწყვეტი საგლინი ღებების, მინისა და პოლიმერული მასალების მკეთებელი მანქანების და ა.შ.) ტექნოლოგიური პროცესებისა და რთული კონსტრუქციების გამო ამპრაფთა არსებული მართვის სისტემებით და სტანდარტული ოპტიმიზაციის მეთოდებით ყოველთვის ვერ აღწევნ შესაძლებლობათა მაქსიმუმს. ამის მიზეზი, სახელდობრ ძრავებსა და მექანიზმებს შორის შემაერთებული „გრძელი“ ლილვების ღრეკადი მახასიათებლებია. მაღალი სწრაფქმედების მიღწევის მცდელობისას აღნიშნული ღრეკადი ლილვები დინამიკაში ამპრაფში წარმოქმნიან გრძელ რხევებს, რომლებიც არა თუ უბრალოდ ხელისშემშლელად მოქმედებენ, არამედ იწვევენ კონსტრუქციათა ცალკეული კვანძების დაზიანებას ან მსხვრევას [3-10].

მანქანებისა და მექანიზმების, აგრეთვე მათი ამპრაფების თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევებს ღრეკადი გრანსმისიების გათვალისწინებით მიძღვნილი აქვს მეცნიერთა მრავალი პუბლიკაცია დაწყებული XX საუკუნის

70-იანი წლებიდან. [1-3]-ში განხილულია დრეკადრგოლებიან ამძრავთა მექანიკური სისტემების საანგარიშო სქემების შედგენა. მოყვანილია ორ და მრავალმასიანი სისტემების დინამიკური მოძრაობის განგოლებები, მოცემულია მექანიკური სისტემების ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების მეთოდები ოპტიმიზაციური სინთეზის და დინამიურობის კოეფიციენტის დახმარებით. მთელ რიგ ნაშრომებში ნაჩვენებია ლილვების დრეკადობათა მავნე ზემოქმედება ამძრავების გარდამავალ პროცესებზე [8-9].

[8-10]-ში მოცემულია ამძრავთა სისტემებზე დრეკადი ლილვების გავლენის შესაფასებლად ელექტრომექანიკური კავშირის განზოგადებული კოეფიციენტის ფორმულა:

$$K_{\text{ეკ}} = \frac{W_{\mu}(P)}{W_{\text{ლრ}}(P)}, \quad (1)$$

სადაც $W_{\mu}(P)$ და $W_{\text{ლრ}}(P)$ -ამძრავის გადამცემი ფუნქციებია ძრავის ბრუნვის მომენტისა და ამძრავის დრეკადი მომენტის გამოსასვლელი სიგნალებითა და ძრავის ღერძზე დატვირთვის მომენტში შესასვლელი სიგნალის მიხედვით.

ამ ნაშრომის მიხედვით დრეკადობის გათვალისწინება აუცილებელია, თუ:

$$0,2 \leq |K_{\text{ეკ}}|_{\omega=\omega_{\text{დრ}}} < 5 \quad (2)$$

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნაშრომში რეკომენდებული შეფასების სიხშირული კრიტერიუმები. ეს კრიტერიუმები შემუშავებულია ამძრავის გარე კონტურის ლოგარიტმულ-სიხშირული მახასიათებლების შედარების საფუძველზე დრეკადი თვისების გათვალისწინებით და მის გარეშე.

სიხშირული მახასიათებლების გაანალიზების შედეგად [10]-ში დადგენილია შემდეგი პირობები, როცა აუცილებელია დრეკადობათა გათვალისწინება:

$$\omega_{\text{კვ}} \geq \xi \cdot q \cdot \omega_{\text{ლრ}}, \text{ თუ } T_{\Sigma 1}^{-1} \geq \omega_{\text{ლრ}} \quad (3)$$

$$\omega_{\text{კვ}} \geq \xi \cdot q \cdot \omega_{\text{ლრ}}^2 \cdot T_{\Sigma 1}, \text{ თუ } T_{\Sigma 1}^{-1} < \omega_{\text{ლრ}} \quad (4)$$

სადაც $T_{\Sigma 1}$ – სიჩქარის კონტურის გაუკომპენსირებული დროის მუდმივაა; $\omega_{\text{კვ}}$ – ლამ-ზე კვეთის სიხშირეა. $\omega_{\text{ლრ}}$ – დრეკადი რხევების სიხშირეა. ξ – გრეხითი რხევების ჩაქრობის კოეფიციენტი; q – ძრავისა და ამძრავის ინერციის მომენტების თანაფარდობაა.

[20-21]-ში მოყვანილი მასალებით ჩანს, რომ თუ არ არის გამოყენებული გრეხითი რხევების ჩასაქრობად სპეციალური კორექციები, სხვაგვარად ქაღალდის მკეთებელი მანქანების ამძრავების სწრაფქმედებას აყენებენ შესაძლოზე გაცილებით ნაკლებს. ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ რხევების სიხშირე სხვადასხვა მექანიზმებისათვის შეადგენს $6 \div 12$ ჰც-ს.

დრეკადი თვისებების გავლენის გათვალისწინებაზე მიუთითებენ უცხოელი სპეციალისტებიც [20-21]. [21]-ში შემოთავაზებულია სწრაფქმედების გაზრდის მიზნით გაქოგენერატორის გადატანა ძრავის ლილვიდან მექანიზმის მუშა ლილვზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი გადაადგილება ჯერ ერთი, რომ არ იძლევა სწრაფქმედების საგრძნობ გაზრდას და აგრეთვე ის, რომ გაქოგენერატორის დაყენება მუშა ლილვზე ხშირად მოუხერხებელი ან შეუძლებელია.

დრეკადი ამძრავის რხევების შესასუსტებლად რეკომენდებულია რეგულატორების შემდეგი კრიტერიუმებით სარგებლობა:

$$\beta_1 = 2\xi^1 \sqrt{q} (\omega_{\text{ლრ}} T_{\Sigma 1})^2 \beta_1^*; \tau_1 = \frac{2}{\sqrt{q} \cdot \omega_{\text{ლრ}}} \quad (5)$$

$$\beta_2 = 4 \cdot T_{\Sigma 2} \sqrt{q} \omega_{\text{ლრ}} \beta_2^*, \tau_2 = T_{\text{ლ}}, \quad (6)$$

სადაც β_1^* და β_2^* – შესაბამისად არის ხისტი ამძრავისათვის განსაზღვრული სიჩქარის და დენის რეგულატორების ოპტიმალური დინამიკური გაძლიერების კოეფიციენტები; $T_{\Sigma 2}$ – დენის კონტურის გაუკომპენსირებული დროის მუდმივაა.

(5) და (6) ფორმულები უზრუნველყოფენ ამძრავის სწრაფქმედებას $2,5 \div 3$ წმ. თანამედროვე მოთხოვნები ამ მხრივ კიდევ უფრო მკაცრია ($1 \div 1,5$).

დადგენილია, რომ ძრავისა და ამძრავის ინერციული მასების თანაფარდობისას – $q=0,2 \div 0,3$ და $T_{\Sigma 1} \leq \frac{1}{\omega_{\text{ღრ}}}$ სიჩქარის რეგულატორის გაძლიერების კოეფიციენტი უნდა შეირჩეს შემდეგი ფორმულით:

$$\beta_1 = q^{\frac{3}{4}} \omega_{\text{ღრ}} T_{\Sigma} \quad (7)$$

სადაც T_{Σ} – ამძრავის ჯამური მექანიკური დროის მუდმივაა. აღნიშნულია, რომ სწრაფქმედება შეადგენს $2 \div 3$ წამს.

თუ $q < 0,2$, მაშინ (7)–ით აწყობილი რეგულატორი უზრუნველყოფს მონოტონულ გარდამავალ პროცესს ($t_g = 4 \div 5$ წმ).

თუ $q > 0,3$, მაშინ რეკომენდებულია სისტემაში ჩავრთოთ დამატებითი უარყოფითი უკუკავშირი ($\omega_k - \omega_{\text{ფექ}}$) სიდიდის პროპორციული სიგნალით.

$q < 0,2$ –ის პირობებში გრესითი რხევების ეფექტური ჩაქრობის მიზნით სისტემაში უნდა შევიყვანოთ მიმდევრობითი ან პარალელური მაკორექტირებული მოწყობილება.

მიმდევრობითი კორექციის ჩართვა დაკავშირებულია პრაქტიკაში სირტულეებთან (მიუხედავად ანგარიშის სიმარტივისა), ხოლო პარალელური

(რბილი მაღიფერენცირებული) მაკორექტირებელი უკუკავშირის პრაქტიკული რეალიზაცია აღვილია, უარესდება სისტემის მგრძნობიარობა ხელშემშლელი რადიოსიგნალებისადმი. მთელი რიგი მექანიზმები შეიცავენ 2 და მეტი რაოდენობის მუშა ლილვებს, ასეთებია წნეხების სექციები ქაღალდის მანქანებში. ჭნეხები არსებობენ ძირითადად 2-ლილვიანი (იშვიათ შემთხვევაში 3-ლილვიანიც, ე.წ. უნიპრესები). ასეთი მექანიზმების ამძრავებად უკანასკნელ ხანებში იყენებენ 2-3-ძრავიან ამძრავებს. ამ მიზნით საინტერესოა მათი დინამიკური რეჟიმების შესწავლა და ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტა.

2. მექანიზმების და მანქანების პროექტებისა და დინამიკური კვლევის

საკითხები

ამა თუ იმ დასახული თვისებების დამაკმაყოფილებელი მექანიზმებისა და საჩარხო სისტემების აგების ამოცანის გადაწყვეტა იწყება რაციონალური კინემატიკური სქემის მქონე მექანიზმის ფორმირებით. მექანიზმების სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები პირველად იქნა განხილული ლ.ვ. ასურის და ა. მალიშევის ნაშრომებში. მექანიზმების კლასიფიკაციის შემდგომი განვითარება ასახულია ი. ართობაცევსკის, ვ. დობროვოლცკის და რ. ფრანკეს ნაშრომებში.

რხევების თეორიის საფუძვლები, თავისუფლების ერთ და მრავალი ხარისხისმქონე მექანიკური სისტემების რხევების თეორია და სისტემის საკუთარი სიხშირის განსაზღვრის მეთოდები განიხილება ნაშრომებში [8,9] და

აგრეთვე შემოთავაზებულია მექანიზმების ძალოვანი გათვლის მეთოდები, მექანიზმების აგრეგაციების დინამიკური ანალიზის და სინთეზის ზოგიერთი საკითხები, რომლებიც მიეკუთვნება პერიოდული რხევების რეგულირება და მანქანების გაწონასწორების ამოცანები.

ვ. კულინოვის ნაშრომში შემოთავაზებულია ჩარხების დინამიკური ხარისხის მაჩვენებლების სისტემა და მოცემულია ამ მაჩვენებლების მიხედვით ჩარხების შეფასების საკითხები, თეორიული და ექსპერიმენტული ანალიზის ჩატარების საერთო მეთოდика.

მიწოდების რაციონალური სიჩქარეები აუცილებელია სიმძლავრის, ტექნოლოგიური წნევების განსაზღვრა, მაღალი ხარისხის და დამუშავების სიზუსტის უზრუნველყოფის პირობების უზრუნველყოფით, ოპტიმალური წარმადობის, გაწყობის მეტოდები და მართვის საკითხები განხილულია ნაშრომებში [1-3].

დინამიკური პროცესების მოდელირების და კვლევის საკითხებისადმი მიძღვნილია პროფესორების ე. რივინის და ს. კაზაკის ნაშრომებში [8,5].

თანამედროვე მანქანების ამძრავთა ჯაჭვებში გამოყენებული რეალური მიმყოფი სისტემები, ძირითადად მიეკუთვნებიან რთულ არაწრფივ, გარკვეულ შემთხვევებში კი არასტაციონალურ სისტემებს, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათი გაანგარიშებისა და დაპროექტების საკითხებს [1-4].

თავისუფალი და იძულებითი რხევების ანალიზის მეთოდები, დაფუძნებული ა. ლიაპუნოვის მოძრაობის მდგრადობის შესახებ ფუნდამენტურ თეორიებზე, ფაზური სივრცეების სტრუქტურის გეომეტრიულ აგებასთან დაკავშირებული გიპოლოგიური მეთოდები, დიპერენციალური განტოლებების ხარისხობრივი თეორიის მეტოდები, მორგებისა, გადამცემი ფუნქციის განსაზღვრებაზე და სისტემების სიხშირით მახასიათებლებზე დაყრდნობილი სხვაობითი მეთოდები და სხვა რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მივიღოთ მკაცრად დასაბუთებული შედეგები, ჩვეულებრივად ძალიან რთულნი არიან დასაპროექტებელი სისტემების სტრუქტურისა და პარამეტრების წინასწარი შერჩევის პროცესში და ინჟინრული გათვლების პრაქტიკაში გამოყენებისათვის. ამიგომ ანალიზის ზუსტ მეთოდებთან ერთად დიდ პრაქტიკულ გამოყენებას იძენენ მიახლოებითი მეთოდები, რომლებიც

ხასიათებიან პარამეტრების წინასწარი შერჩევის პროცესში პრაქტიკული გამოყენების სიმარტივით და ცალკეული სტრუქტურული ელემენტების სისტემების საერთო სტრუქტურულ მთლიანობაში შერწყმაში გამოვლენილი მიდამოების შიგნით პარამეტრების და სტრუქტურის მუსტი მეთოდების გამოყენებით შემდგომში დამუსკებით. ამასთან ძალიან ხშირად მეთოდის პრაქტიკული გამოყენების სიმარტივეს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მაღალ სიზუსტეს. ეს აიხსნება იმით, რომ ნებისმიერი ხარისხის არაწრფივ სისტემებში დინამიკური პროცესების საკმარისად მუსტი და დეტალური კვლევა (სხვადასხვა საწყის პირობებში და სხვადასხვა გარე გემოქმედებისას) ახლანდელ დროში შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული სამოდულო მოწყობილობებით და გამომთვლელი მანქანებით.

არაწრფივ სისტემებში პროცესების მიახლოებითი კვლევისათვის უარყო გამოყენება ჰპოვეს ჰარმონიული გაწრფივების და მასთან მონათესავე მცირე პარამეტრების, ჰარმონიული ბალანსის და სხვა მეთოდებმა [1,3,10].

არაწრფივი სისტემების მიახლოებითი გათვლის მეთოდები, შეიძლება იყვნენ გამოყენებული მონოტონურ პროცესებთან ახლოს გარკვეულად შემღულულ კლასში მყოფი არაწრფივი ავტომატური სისტემების კვლევაში, რომელთა არაწრფივი ფუნქციები მოიცავენ ერთ-ორ ერთმნიშვნელოვან უბან-უბან წრფივ მახასიათებლიან არაწრფივ ფუნქციებს. ამასთან ერთად, ხსენებული მეთოდები საშუალებას გვაძლევენ ვაწარმოთ სისტემის გაანგარიშებები, რომელიმე ერთი სისტემის დინამიკური თვისების მახასიათებელი კონკრეტული კრიტერიუმის დაკმაყოფილების პირობიდან.

სამოდელირებელი მოწყობილობების და ეგმ-ის გამოყენება დასაპროექტებელი სისტემების სქემებისა და პარამეტრების არჩევისათვის, დაფუძნებულია მრავალრიცხოვან მოსინჯვებზე შემუშავებული სქემების პარამეტრების სხვადასხვა შეთანწყობისას. რადგანაც სისტემაში შემავალი ელემენტების პარამეტრების შეთანწყობა ძალიან მრავალგვარია, ხოლო სისტემის სტრუქტურული სქემების რიცხვი ძალზე დიდია, ამიტომ ყველაზე მარტივი გადაწყვეტილების მოძებნა მოითხოვს დროის დიდი რაოდენობის დახარჯვას.

არასტაციონარული სისტემების კვლევის საკითხებისადმი მიძღვნილია ნაშრომი და აღწერილია კვლევის ესა თუ ის შესაძლო მეთოდები.

პროფესორ თ. მჭედლიშვილისა და მისი სხვადასხვა თანაავტორების ნაშრომებში [11-14] გადმოცემულია არაწრფივი სისტემების კვლევასთან დაკავშირებული საკითხები.


ამძრავთა დინამიკის კვლევის სიხშირული მეთოდების მიმოხილვის მხრივ თავდაპირველად განვიხილოთ ამძრავთა ავტომატური სისტემების ტიპური დინამიკური რგოლების ლიფერენციალური განტოლებები, გადამცემი ფუნქციები და სიხშირული მახასიათებლები.

პირველი რიგის აპერიოდული რგოლის მაგალითებია: მუდმივი ღენის გენერატორი (ნახ. 1) და R,C ელემენტებისაგან შედგენილი ოთხპოლუსა (ნახ. 2).


გენერატორის (გ) გადამცემი ფუნქციის მისაღებად თავიდან ვწევთ ძაბვების ლიფერენციალურ განტოლებას მისი აგზნების გრაგნილისათვის;

$$U_{აგ} = L_{აგ} \frac{di_{აგ}}{dt} + i_{აგ} R_{აგ} \quad (8)$$


თუ ჩავთვლით რომ მანქანის დამაგნიტების მრუდი წრფივია, მაშინ სამართლიანია $E_g = K_g (i_{აგ} R_{აგ})$, სადაც E_g – ლუბაში დაინდუქცირებული ე.მ.ძ.–ა, ხოლო K_g – გენერატორის გადაცემის რიცხვია. მაშინ (8)–დან ადვილად მივიღებთ გენერატორის გადამცემ ფუნქციას.



ნახ. 1 მუდმივი დენის გენერატორი



ნახ. 2 RC - ელემენტების ოთხპოლუსი



ნახ. 3 სიხშირული მახასიათებლები

$$W_{\delta}(P) = \frac{E_{\delta}(P)}{U_{\delta}(P)} = \frac{K_{\delta}}{T_{\delta} P + 1} \quad (9)$$

სადაც $\frac{P=d}{dt}$ ლაპლასის ოპერატორია, $T_{აგ} = \frac{T_{აგ}}{R_{აგ}}$ გენერატორის აგზნების გრაგნილის ელექტრომაგნიტური დროის მუდმივაა. ნახ.2-ის მიხედვით გადამცემი ფუნქცია გოლია:

$$W_0(P) = \frac{U_2(P)}{U_1(P)} = \frac{\frac{1}{C_{0P}}}{R_0 + \frac{1}{C_0 P}} = \frac{1}{T_0 P + 1}, \quad T_0 = R_0 C_0 \quad (10)$$

რგოლების ან სისტემების სიხშირული მახასიათებლების ასაგებად საჭიროა გვექონდეს სიხშირული გადამცემი ფუნქცია რომელიც მიიღება ჩვეულებრივ გადამცემ ფუნქციაში $P = j\omega$ -ს შეტანით. მართლაც (9)-ს მიხედვით გენერატორისათვის გვექნება:

$$W_{აგ}(j\omega) = \frac{K_{აგ}}{jT_{აგ}\omega + 1}, \quad (11)$$

სადაც $j = \sqrt{-1}$ და ω -სიმბოლური სიხშირეა.

(11)-დან ამპლიტუდის (მოდულის) და ფაზის (არგუმენტის) გამოსახულებები გოლი იქნება:

$$A(\omega) = \frac{K_{აგ}}{\sqrt{T_{აგ}^2 \omega^2 + 1}}; \quad (12)$$

$$\Phi(\omega) = -\arctg(T_{აგ} \omega). \quad (13)$$

განხილული რგოლის ლოგარიტმულ-ამპლიტუდური სიხშირული მახასიათებლის ასაგებად უნდა ვისარგებლოთ გამოსახულებით

$$L(\omega) = 20 \lg \frac{K_{\text{ბ}}}{\sqrt{T_{\text{აბ}}^2 \omega^2 + 1}} = 20 \lg K_{\text{ბ}} - 20 \lg \sqrt{1 + T_{\text{აბ}}^2 \omega^2}, \quad (14)$$

რგოლის შეუღლების სიხშირე გოლია

$$\omega_{\text{გ}} = \frac{1}{T_{\text{აბ}}} \quad (15)$$

პირველი რიგის ამპერიოდული რგოლის ასიმპტოტური ლოგარითმულ-ამპლიტუდური (ლამ) და ფაზურ-სიხშირული მახასიათებლები მოყვანილია ნახ.3-ზე.

ზოგჯერ საჭიროა ვიცოდეთ რგოლის (ან სისტემის) სიხშირული გადამცემი ფუნქციის ნამდვილი და წარმოსახვითი ნაწილები, (11)-ის მიხედვით ისინი შემდეგნაირად გამოისახებიან:

$$U(\omega) = \frac{K_{\text{ბ}}}{1 + T_{\text{აბ}}^2 \omega^2} \quad \text{და}$$

$$V(\omega) = \frac{K_{\text{ბ}} T_{\text{აბ}} \omega}{1 + T_{\text{აბ}}^2 \omega^2} \quad (16)$$

(16)-ით აგებული ამპერიოდული რგოლის ამპლიტუდურ ფაზურ სიხშირული მახასიათებელი და ცალ-ცალკე აგებული ნამდვილი და წარმოსახვითი სიხშირული მახასიათებლები ნაჩვენებია მახ. 14-ზე.

I-რიგის ამპერიოდული რგოლის გარდამავალი ფუნქცია წარმოადგენს გამოსავალი სიგნალის რეაქციის შესავალზე ერთეულოვანი ნახტომისებური სიგნალის მიწოდებისას, იგი გოლია

$$X(t)|_{g(t)=1(t)} = K_{\text{გ}} (1 - e^{-\frac{1}{T_{\text{აგ}}}}) \quad (17)$$

(17)-ე გრაფიკულად ნახვენებია ნახ. 15-ზე, გარდამავალი პროცესის ხანგრძლივობა მიახლოებით ტოლია $t_{\text{გ}} \approx 3T_{\text{აგ}}$.

რხევითი რგოლის მაგალითებია მუდმივი ღენის ძრავა, და R , L ელემენტებისაგან შედგენილი ოთხპოლუსა (ნახ. 16)


ძრავის გადამცემი ფუნქციის მისაღებად საჭიროა ღავწეროთ ძაბვების წონასწორობის განტოლება ღუმის წრედისათვის და ამძრავის მოძრაობის განტოლება:

$$U_{\text{ღ}} = E_{\text{კ}} + L_{\text{ღწ}} \frac{dI_{\text{ღ}}}{dt} + I_{\text{ღ}} R_{\text{ღ}} ; \quad (18)$$


$$M - M_{\text{სგ}} = J \frac{d\omega}{dt} \quad (19)$$

სადაც $E_{\text{კ}}$ - ძრავის ღუმის გრაგნილში აღძრული ემპ, რომელიც ტოლია


$$E_{\text{კ}} = C_{\text{კ}} \omega \quad (20)$$



ა)




ბ)




გ)


ნახ. 4 წარმოსახვით – სიხშირული მახასიათებლები



ნახ.5 გარღმავალი პროცესი



ნახ. 6 ოთხპოლუსა



ნახ. 7 ლოგარითმულ-სიხშირული მახასიათებლები

ω – ძრავის კუთხური სიხარება; C_p – ძრავის ემპ-ის კოეფიციენტი.

$L_{\text{ლწ}}$ და $R_{\text{ლწ}}$ ლუბის გრაგნილის ინდუქციობა და აქტიური წინაღობა;

M -ძრავის ბრუნვის მომენტი; $M_{\text{სგ}}$ – მექანიზმის წინაღობის (სტატიკური)

მომენტი დაყვანილი ძრავის ღერძზე; J – ამძრავის ინერციის მომენტია. ძრავის მომენტი თავის მხრივ ტოლია

$$M = C I_{\text{ღ}}, \quad (21)$$

(21)–ის ჩასმით (19)–ში და უქმი სვლის რეჟიმის ($M_{\text{სგ}} = 0$) განხილვით მივიღებთ:

$$I_{\text{ღ}} = \frac{J}{C_{\text{ღ}}} \cdot \frac{d\omega}{dt} \quad (22)$$

(22)–ის შეგანით და (20)–ის გათვალისწინებით (18)–დან მივიღებთ ძრავის სრულ დიფერენციალურ განტოლებას:

$$T_{\text{ღ}} T_{\text{ეფ}} \frac{d^2}{dt^2} + T_{\text{ეფ}} \frac{d\omega}{dt} + \omega = K_{\text{ღ}} \cdot U_{\text{ღ}}, \quad (23)$$

სადაც $T_{\text{ღ}} = \frac{L_{\text{ღწ}}}{R_{\text{ღწ}}}$ – ძრავის ლუმის წრედის ელექტრომაგნიტური დროის

მუდმივაა; $T_{\text{ეფ}} = \frac{jR_{\text{ღწ}}}{C_{\text{ღ}}^2}$ – ამძრავის ელექტრომექანიკური დროის მუდმივაა;

$K_{\text{ღ}} = 1/C_{\text{ღ}}$ – ძრავის გაღაცემის კოეფიციენტია.

თუ (23)–ში წარმოებულებს შეცვლივს შესაბამისი ოპერატორებით მივიღებთ ძრავის გაღამცემ ფუნქციას:

$$W_{\text{ღ}}(P) = \frac{\omega(P)}{U_{\text{ღ}}(P)} = \frac{K_{\text{ღ}}}{T_{\text{ღ}} T_{\text{ეფ}} P^2 + T_{\text{ეფ}} P + 1} \quad (24)$$

(24)–ს ნორმირებულ სახეში შემდეგნაირად წარმოადგენენ:

$$W(P) = \frac{K}{T^2 P^2 + 2\xi T P + 1}, \quad (25)$$

სადაც რხევების ξ - მილევის (დემფერირების) კოეფიციენტი. რაც მეტია ξ , მით ნაკლებია რხევები.

თუ $\xi < 1$, რგოლი ხასიათდება რხევითი ღინამიკური პროცესებით.

თუ $\xi \geq 1$ რხევითი რგოლი გადაიქცევა II-რიგის აპერიოდულ რგოლად, პროცესები ხასიათდება რხევების გარეშე.

სიხშირული გადაცემები ფუნქციის მისაღებად (25)-ში P შევცვალოთ $j\omega$ -ით, გვექნება:

$$W(j\omega) = \frac{K}{(1 - T^2 \omega^2)^2 + (2\xi T \omega)^2}. \quad (26)$$

(26)-დან მოღული და არგუმენტი გამოისახება შემდეგნაირად:

$$A(\omega) = \frac{K}{\sqrt{(1 - T^2 \omega^2)^2 + (2\xi T \omega)^2}}; \quad (27)$$

$$\varphi(\omega) = -\frac{2\xi T \omega}{1 - T^2 \omega^2}. \quad (28)$$

ლამ-ი აიგება შემდეგი ფორმულით:

$$L(\omega) = 20 \lg K - 20 \lg \sqrt{(1 - T^2 \omega^2)^2 + (2\xi T \omega)^2}. \quad (29)$$

შეუღლების სიხშირე გოლია $\omega_{\text{კ}} = \frac{1}{T}$.

რხევითი რგოლის ასიმპტოტური ლამ აგებულია ნახ. 7-ზე.

ასიმპტოტური ლამ-დან ზუსტი ლამ-ის მისაღებად საჭიროა შესწორების (ნახ. 8) დამატება ასიმპტოტურზე.


თუ (25)–ში $\xi > 1$, მაშინ გადამცემი ფუნქცია მიიღებს სახეს:

$$W(P) = \frac{K}{(T_1 + 1)(T_2 + 1)}, \quad (30)$$

სადაც $T_1, T_2 = T(\xi \pm \sqrt{\xi^2 - 1})$.

(30)–ის შესაბამისი სიხშირული გადამცემი ფუნქცია გოლია:

$$W(j\omega) = \frac{K}{(1 + T_1^2)(1 + T_2^2 \omega^2)}; \quad (31)$$



ნახ. 8 ამპლიტუდური გადახრები

მოდულისა და არგუმენტის გამოსახულებები შესაბამისად ტოლი იქნება:

$$A(\omega) = \frac{K}{\sqrt{1+T_1^2 \omega^2} \cdot \sqrt{1+T_2^2 \omega^2}}; \quad (32)$$

$$\varphi(\omega) = -\arctg T_1 \omega - \arctg T_2 \omega$$

(34)


ლას-ის აგება უნდა შევასრულოთ გამოსახულებით:

$$L(\omega) = 20 \lg k - 20 \lg \sqrt{1 + T_1^2 \omega^2} - 20 \lg \sqrt{1 + T_2^2 \omega^2}.$$

(34)

ამ შემთხვევაში გვექნება შეუღლების ორი სიხშირე


$$\omega_{\pi 1} = \frac{1}{T_1} \quad \text{და} \quad \omega_{\pi 2} = \frac{1}{T_2}.$$




3. მექანიკური ნაწილის დინამიკური ანალიზი

ნახ. 10 და ნახ. 11 –ზე მოყვანილია შესაბამისი სახარატო ჩარხის მთავარი მოძრაობის და ამჟღ–საგრანსპორტო მანქანის ელექტრომექანიკური ამძრავების კინემატიკური სქემები.

მექანიკური ნაწილის კინემატიკური სქემა (ნახ. 10) მოიცავს სოლურ–ღველურ გადაცემას, 3–საფეხურიან რედუქტორს და შპინდელს.



ნახ. 10 სახარატო ჩარხის მთავარი მოძრაობის ამძრავი



ნახ. 11 აშუ-საგრანსპორტო მანქანის ელექტრომექანიკური ამძრავი

ანალოგიურად, ნახ. 10–ზე მოყვანილ სქემაში აგრეთვე გვაქვს საქმე 3 საფეხურიან რელექტორთან და ამწე მოწყობილობასთან.

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მრავალმასიან მექანიკურ ნაწილს.

თანამედროვე ამძრავთა ავტომატიზებული სისტემების შემუშავებასთან და კვლევასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზმა გვიჩვენა, რომ უკანასკნელნი თავის ძირითად ნაწილში წარმოადგენენ ელექტრული, ჰიდრაულიკური, პნევმატური და კომბინირებული ელემენტების სტრუქტურულ შეთანწყობას სტრუქტურულად რთულ მრავალმასიან მექანიკურ გრანსმისიებთან (მექანიკურ სისტემებთან).

განსახილველი სისტემების დინამიკური გამოკვლევების სირთულე მნიშვნელოვნად განისაზღვრება მექანიკური სისტემის საანგარიშო სქემით. ეს სქემა თავის მხრივ რეგლამენტირებს გარდამავალი პროცესების თავისუფალი შემდგენების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მხარეებით.

აქტუალურია ამოცანები, დაკავშირებული ისეთი მათემატიკური მოდელების აგებასთან, რომლებიც ითვალისწინებენ დინამიკური სისტემის მარგო არსებით თავისუფლების ხარისხებს.

ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სტრუქტურული თვალსაზრისით რთული მრავალმასიანი ამძრავთა სისტემების აპროქსიმაციული მოდელების აგებისა და მათზე დაყრდნობით შემდგომი დინამიკური სინთეზის ამოცანების გადაჭრის საკითხები.

მექანიკური სისტემების დინამიკური კვლევისას გრანსმისიის დაყოფის შედეგად შეყურსულ მასებზე და უინერციო კავშირებზე დავდივართ რთულ საანგარიშო სქემებზე, რომლებსაც დინამიკური დატვირთულობის ფორმირებისათვის გააჩნიათ მნიშვნელოვანი რაოდენობის არა არსებითი თავისუფლების ხარისხები. ასეთ სისტემების საკუთარ სიხშირეთა მაქსიმალური მნიშვნელობები მრავალჯერ აღემატებიან დინამიკური დატვირთვების ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით მიღებული სიხშირული დიაპაზონის ზედა ზღვარს.

ზელმეტი ინფორმაციის შემცირებისა და არსებითი მნიშვნელობის თავისუფლების ხარისხის გამოვლენის ამოცანის ამოხსნა მიიღწევა საანგარიშო სქემების გამარტივების სპეციალური მეთოდების გამოყენებით.

გამარტივებული მოდელების აგების ცნობილი მეთოდები თავის უმეტეს მასაში ეფექტურად გამოიყენებიან მარტო მწკრივული სტრუქტურის მექანიკურ სისტემებთან მიმართებაში.

წარმოდგენილი სამუშაო ეძღვნება უფრო რთლი სტრუქტურის სისტემების აპროქსიმაციული მოდელების მიღებისა და მათ შემდგომი გამოყენების საკითხებს.

ცნობილი გამოკვლევების თანახმად დინამიკური სისტემების მიახლოებითი ამოხსნისადმი ერთ-ერთ ეფექტურ მიდგომას მიეკუთვნება წარმოსახვით სიხშირეთა გამოყენება.

პროცესის $\varphi(t)=\varphi(p)$ წარმოსახვით სიხშირეთა მახასიათებელს უწოდებენ ფუნქციას, რომელიც მიიღება ფუნქცია $\varphi(p)$ -ს არგუმენტისათვის რიგი $p=\delta$ მნიშვნელობების მინიჭებით, სადაც p -ლაპლასის ოპერატორია, $\delta=j\cdot W$ -წარმოსახვითი სიხშირეა, j – კი არის წარმოსახვითი ერთიანი.

აქვე ნაშრომში აჩვენებია, რომ თუ $\varphi(p)$ გამოსახულების მიხედვით მოცემულია $\varphi(\delta)$ მახასიათებლის მნიშვნელობები საგნობრივი ნახევარღერძის გარკვეულ მონაკვეთში (განსაკუთრებული წერტილების გარეთ), მაშინ ერთსახოვნად განისაზღვრება ორიგინალი $\varphi(t)$ ყოველ $0<t<\infty$ წერტილში.

ნაშრომში აგრეთვე მიღებულია ფორმულები ორიგინალის განსაზღვრის ცდომილებისა ფუნქციონალურ კავშირში წარმოსახვით სიხშირეთა მახასიათებლის ცდომილებასთან, რომლების მიგვითითებენ იმაზე, რომ გარდამავალ პროცესებში მნიშვნელოვნად რხევადი შემდგენების არსებობისას ირღევა ცალსახა კავშირი წარმოსახვით სიხშირეთა მახასიათებლებთან და მათთან შესაბამის ორიგინალებს შორის.

მექანიკური სისტემა (მს), უფრო მეტიც, არადემფირებული საანგარიშო სქემის (ასს) მათემატიკური მოდელის განხილვისას, არის მნიშვნელოვნად რხევადი, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს აპროქსიმაციული მოდელების აგების პროცედურებში წარმოსახვით სიხშირეთა მახასიათებლების გამოყენებას.

მს-ის გამოსახულებების შემდგომი ანალიზი საფეხუროვანი გარე ზემოქმედებისას

$$\varphi_1(p^2)=B(p^2)/A(p^2) \quad (35)$$

სადაც $B(p^2)$ და $A(p^2)$ ცვლადის გარკვეული პოლინომებია, გვიჩვენებს, რომ ახალი ოპერატორის $p^*=p^2$ განხილვისას ვიღებთ

$$\varphi_1(p^*) = B(p^*)/A(p^*) \quad (36)$$

რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ექსპონენციალურად მიღევად მდგენელებთან გადრამაფალი პროცესის მქონე სისტემის გადამცემი ფუნქციის ანალოგს.

გოლობის (2) გამოყენებით გადავდივართ მახასიათებლებზე, რომლებსაც მიღებთ p^* არგუმენტისადმი რიგი საგნობრივი $p^* = \delta$ მნიშვნელობების მინიჭებით, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ ექსპონენციალურად მიღევადი პროცესების მქონე სისტემების მახასიათებლების ანალოგს.

ასეთი მახასიათებლებისათვის ორიგინალის განსაზღვრის სიზუსტე საკმაოდ მაღალია – ორიგინალისა და მახასიათებლის ცდომილებები არიან თითქმის გოლები.

ცნობილი გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ პრინციპიალური სახით დინამიკური დაგვირგვინების ანალიზისათვის მრავალმასიანი დინამიკური სისტემების ცალკეულ კავშირებში შესაძლოა გამოყენებული იქნას ორმასიანი და სამმასიანი აპროქსიმაციული მოდელები.

ნახაზზე 1 მოყვანილია ორმასიანი მს–ის დინამიკური სტრუქტურული სქემა. ნახაზზე: J_1 და J_2 – მბრუნავი მასების ინერციის მომენტები; C_{12} – უინერციო მექანიკური ღრეკადი ელემენტის სიხისტე; M – ძრავას ელექტრომაგნიტური მომენტი; M_{c1} – M_{c2} – წინალობის მომენტებია.

ნახ. 1. მოყვანილი სტრუქტურული სქემით მივიღებთ ორმასიანი არადემფირებული სისტემის გადამცემ ფუნქციებს

$$W_{\varphi_1}(P) = \frac{\varphi_1(p)}{M(p)} = \frac{P^2 + \frac{C_{12}}{J}}{J_1 + P^2 + \frac{C_{12}(J_1 + J_2)}{J_2}} \quad (37)$$

$$W_{\varphi_2}(P) = \frac{\varphi_2(p)}{M(p)} = \frac{\frac{c_{12}(J_1+J_2)}{J_1 \cdot J_2}}{(J_1+J_2)P^2 + \frac{c_{12}(J_1+J_2)}{J_1 \cdot J_2}} \quad (38)$$

$$W_{M_{12}}(p) = \frac{M_{12}(P)}{M(P)} = \frac{\frac{c_{12}}{J_2}}{P^2 + \frac{c_{12}(J_1+J_2)}{J_1 \cdot J_2}} = \frac{c_{12}J_2}{J_1J_2P^2 + c_{12}(J_1+J_2)} \quad (39)$$

ორმასიანი მოდელით მრავალმასიანი მოდელის აპროქსიმაციისათვის ვიყენებთ ტოლობებს:

$$\varphi_1(\delta^*)a \approx \varphi_1 \quad (40)$$

$$\varphi_2(\delta^*)a \approx \varphi_2(\delta^*)_{\text{საწყ}} \quad (41)$$

$$M_{12}(\delta^*)a \approx M_{12}(\delta^*)_{\text{საწყ}} \quad (42)$$

ამ ტოლობებიდან გადავდივართ დამოკიდებულებებზე:

$$\frac{1}{J_1+J_2} = \varphi_{10_{\text{საწყ}}} = \varphi_{20_{\text{საწყ}}}$$

$$\frac{J_1}{J_1+J_2} = M_{120_{\text{საწყ}}}$$

სადაც φ_{10} , φ_{20} და M_{120} – შესაბამისი პროცესების დამყარებული სიდიდეებია.

ამ ორი გოლობიდან ვსაზღვრავთ:

$$J_1 = \frac{M_{120}}{\varphi_{20}} \quad (43)$$

$$J_1 + J_2 = \frac{1}{\varphi_{20}} \quad (44)$$

შემდეგ უმცირეს კვადრატთა მეთოდით ვამუშავებთ პირობით განტოლებათა სისტემას

$$\left[\frac{M_{120}}{\varphi_{20}} = \frac{M_{12}(\delta_i^*)}{\varphi_{20}} \right] C_{12} - M_{12}(\delta_i^*) \delta_i^* \frac{M_{120}}{\varphi_{20}} \cdot J_2 \quad (45)$$

და გადავდივართ წრფივ ნორმალურ განტოლებათა სისტემაზე საძიებელი C_{12} და J_2 პარამეტრების მიმართ.

მრავალმასიანი სისტემების პარამეტრების სინთეზის ამოცანა ცნობილი მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით სინთეზის ცნობილი თეორიის მიხედვით შესაძლოა აგებული იქნას მრავალმასიანი სისტემის გარდამავალი პროცესების ინტეგრალური მიახლოებითი ორმასიანი სისტემების გარდამავალ პროცესებთან.

ორმასიანი აპროქსიმაციული მოდელების ღრეკადი მიმენტების კოორდინატთა გამოსახულებები გამოისახებან ასე:

$$M_{ij}(P) = A_0 \frac{b_2 P^4 + 1}{a_4 P^4 + a_2 P^2 + 1} \quad (46)$$

სადაც:

M_{ij} — ღრეკალი მომენტებია განსახილველ ღრეკად კავშირში; a_2 , a_4 და b_2 — მუდმივი კოეფიციენტებია, რომლებისათვისაც ჩაწერის გამარტივების მიზნით გამოშვებულია ინდექსები i, j ; i და j — შეყურსული მასების ინდექსებია, რომელთა შორის განლაგებულია საკვლევი კავშირი.

რადგანაც ინტეგრალური მიახლოებების აპარატის სახით ვიყენებთ წარმოსახვით სიხშირეთა მახასიათებლებს, საკვლევ და სასურველ კოორდინატებს ვიძლევიტ შესაბამისად, სახეებით: $M_{ij} = M_{cj}(P^*)$

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მიღებულია ძირითადი კანონზომიერებები, რომლებიც იძლევიან საშუალებას ავაგოთ გამარტივებული აპროქსიმაციული მოდელები მრავალმასიანი მექანიკური სისტემებისათვის და დავსახოთ შემდგომი მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით სინთეზის ამოცანების ამოხსნის გზები.

4. ელექტრომექანიკური ამძრავის მათემატიკური მოდელი

თავდაპირველად შევადგინოთ ამძრავთა მოძრაობის განტოლებები, როცა ვითვალისწინებთ რელექტორის კბილანებში ლუფების და მექანიზმთან დამაკავშირებელი ლილვების დრეკად თვისებებს (ნახ. 4).

ინდივიდუალური ამძრავის მოძრაობის განტოლებები ორმასიანი სისტემის შემთხვევაში შემდეგნაირად წარმოდგინდება (ნახ. 9 და 10).

$$\begin{aligned} \{M - M_{\text{ლრ}} &= J_1 \frac{d\omega_1}{dt}; & M_{\text{ლრ}} - M_{\text{სგ}} &= J_2 \frac{d\omega}{dt}; \\ (47) \end{aligned}$$

სადაც M და $M_{\text{ლრ}}$ – ძრავის ბრუნვის და მექანიკური ლილვის დრეკადობის მომენტებია; $M_{\text{სგ}}$ – ძრავის ღერძზე დაყვანილი მექანიზმის წინააღობის სტატიკური მომენტია.

(47) განტოლებათა სისტემა ოპერატორულ სახეში და ცვლადებით ფარდობით ნაზრდებში შემდეგნაირად წარმოდგინდება:

$$\begin{aligned} \{\mu^* - \mu_{\text{ლრ}}^* &= T_1 \cdot P \cdot V_1^*; & \mu_{\text{ლრ}}^* - \mu_{\text{სგ}}^* &= T_2 \cdot P \cdot V_2^*; & \mu_{\text{ლრ}}^* &= \frac{T_d^{P+1}}{T_e^P} (V_1^* - V_2^*) \\ (48) \end{aligned}$$

$$\text{სადაც } \mu^* = \frac{\Delta M}{M_{\text{სგ.ბაზ.}}}; \quad \mu_{\text{ლრ}}^* = \frac{\Delta M_{\text{ლრ}}}{M_{\text{სგ.ბაზ.}}}; \quad V_1^* = \frac{\Delta \omega_1}{\omega_{\text{ბაზ.}}}; \quad V_2^* = \frac{\Delta \omega_2}{\omega_{\text{ბაზ.}}};$$

ინდექსი „ბაზ.“ – მიუთითებს შესაბამისი სიდიდის მნიშვნელობას ბაზისურ (დამყარებულ) რეჟიმში. (48)–ში კბილანებს შორის ლუფტები უგულებელყოფილია.

$T_1 = \frac{J_{2\omega_{\text{ბაზ.}}}}{M_{\text{სტ.ბაზ.}}}$ და $T_2 = \frac{J_{2\omega_{\text{ბაზ.}}}}{M_{\text{სტ.ბაზ.}}}$ – ძრავის და მექანიზმის მექანიკური დროის მუდმივები;

$T_d = \frac{b}{C_{12}}$ და $T_c = \frac{M_{\text{სტ.ბაზ.}}}{C_{12}\omega_{\text{ბაზ.}}}$ – დროის მუდმივებია, რომლებიც

